



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ლეზგიური ენა

ლეზგიური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნის ჯგუფის ახალდამწერლობიანი ენა. გავრცელებულია დაღესტნის სამხრ.-აღმ. ნაწილში - კასუმქენთის, მაჟარამქენთის, ქურახის, ნაწილობრივ ხივისა და რუთულის რ-ნებში, აგრეთვე ჩრდ. აზერბაიჯანის გუსარის, ყუბისა და ხუდათის რ-ნების ზოგიერთ სოფელში. აქვს 3 ძირითადი დიალექტი - კიურიული, ახტისა და ყუბის (დიალექტებში გამოიყოფა კილოკავები). ლ. ე-ში ხმოვანთა სისტემა მარტივია - ა, ე, ი, უ, ა, უ, ახტის დიალექტში არის ~ -ც, ო გვხვდება მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში. თანხმოვნებში გამოიყოფა სონორებისა და ჩქამიერების კლასები. ჩქამიერებში დასტურდება ოთხეულთა სისტემა - მჟღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი და პრერუპტივი (არაფშვინვიერი ყრუ). აფრიკატების რიგში აკლია ძ, ჰ (გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ თქმაში). მახვილი მოუდის მე-2 მარცვალს სიტყვის დასაწყისიდან. გრამატ. კლასების სისტემა დაკარგულია, დაცულია მხოლოდ ცალკეული ექსპონატები, გადმონაშთების სახით, როგორც სახელებში, ისე გმნებში. ბრუნების სისტემა განვითარებულია. ძირითად ბრუნვებთან (სახ., ერგატიული, ნათ., მიც.) ერთად არის ადგილობითი ბრუნვების რამდენიმე სერია (14 ბრუნვა). ბრუნებისას გატარებულია ორფუძიანობის პრინციპი - ბრუნება ემყარება ერგატივის ფორმას. თვლის სისტემა ოცობითია. იმის მიუხედავად, რომ გმნას გრამატიკული კლასისა და პირის კატეგორიები არა აქვს, იგი ძირითადად როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოების ფორმებით. გმნას აქვს დრო-კილოს, მიმღეობისა და კაუზატივის კატეგორიები, ბრძანებითი, პირობითი, კითხვითი და უარყოფითი ფორმები. გვარი დიფერენცირებული არ არის. გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი გმნები (ლექსიკურად და სემანტიკურად). გარდამავალი გმნისათვის დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია, სალიტ. ლ. ე-ს საფუძვლად უდევს კიურიული დიალექტი. დამწერლობა შეიქმნა 1928.

ლოტ.: თ ე თ რ ა ძ ე მ., ლებგიურ აფიქსთა შემადგენლობა და ფონეტიკური თავისებურებანი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 2019, ტ. 47; თ ო ფ უ რ ი ა გ., ლებგიური გმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები (კიურიული და ახტის დიალექტების მონაცემთა მიხედვით), თბ., 1959; ლ ო ლ უ ა რ., არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება ლებგურ ენაში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 2020, ტ. 48; Гаджиев М. М., Синтаксис лезгинского языка, ч. 1-2, Махачкала, 1954-63; Гайдаров Р. И., Лексика лезгинского языка, Махачкала, 1966; Гюльмагомедов А. Г., Саадиев Ш. М., Библиография по лезгинскому языкознанию, Махачкала, 1972; Услар П. К., Этнография Кавказа. Языкознание, [т.], 6 - Кюрийский язык, Тфл., 1896.

---

#### **8. თოფურია**